GÜRTİAD

ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2019 / 01 – 08 Kasım / ნოემბერი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 723.5	4 345.5	4.7 %	12.7 %	6.9 %

Gürcistan Ekonomi Bakanının Çin ziyareti
საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ვიზიტი ჩინეთში

Gürcistan Ekonomi Bakanı Sn. Natia Turnava, heyeti ile birlikte Çin Cumhuriyetinde resmi ziyareti gerçekleştirdi. Ziyaret çerçevesinde Sn. Turnava Çin Ulaştırma Bakanı Sn. Li Ksiaofeng ve Gansu il (nüfus 25 milyon) valisi Sn. Tan Jendziyen ile görüşmüştür. Sn. Turnava'nin heyetinde Ekonomi Bakan Yardımcısı Sn. Genadi Arveladze, Ortaklık Fonu Müdürü Sn. David Saganelidze, Gürcü Demiryolları Müdürü David Peradze ve Gürcistan'ın Çin Büyükelçisi Sn. Archil Kalandia bulunmaktaydı.

Çin Ulaştırma Bakanı ile yapılan görüşme sırasında Uluslararası Hazar Trans Ulaşım hatının, aynı Orta Koridoru kullanarak Demiryolu taşımacılığının arttırılması ve Asya - Avrupa arasında kısa ve güvenilir ulaşım yollarının geliştirilmesi ele alınmıştı. Tranzit koridoru kullanarak yük taşımacılığı 2019 yılı 9 ay boyunca 2018 yılına göre %25.5 ile artmıştır ve taşınmış konteynerlerin sayısı 1215 TEU'ya ulaşmıştır. Demiryolu ulaşımı ile beraber görüşmede düzenli deniz trafiği konusundaki Gürcistan'ın Ukrayna, Romanya ve Bulgaristan ile devam eden müzakereler de incelendi. Toplantıda, Gürcistan ile Çin denizcilik okulları arasındaki değişim programlarının genişletileceği ve Çin'in Gürcü öğrencilere daha fazla burs sunacağı konusunda da görüş birliğine varıldı.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, ნათია თურნავა, დელეგაციასთან ერთად სამუშაო ვიზიტით ჩინეთის რესპუბლიკას ეწვია. ვიზიტის ფარგლებში მინისტრმა შეხვედრები გამართა ჩინეთის ტრანსპორტის მინისტრ ლი სიაოფენგთან და განსუს პროვინციის (მოსახლეობა 25 მლნ) გუბერნატორ თან ჟენძიენთან. დელეგაციის სახით მინისტრს თან ახლდნენ ეკონომიკის მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძე, საქართველოს რკინიგზის აღმასრულებელი დირექტორი დავით ფერაძე და საქართველოს ელჩი ჩინეთში არჩილ კალანდია.

ჩინეთის ტრანსპორტის მინისტრთან შეხვედრისას დაიგეგმა ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის, იგივე შუა დერეფნის გავლით სარკინიგზო გადაზიდვების გაზრდა და აზია - ევროპას შორის მოკლე და საიმედო სატრანსპორტო მარშრუტების განვითარება. აღსანიშნავია, რომ სატრანზიტო დერეფნის გამოყენება 2019 წლის 9 თვის განმავლობაში 2018 წლის იგივე პერიოდთან შედარებით 25.5% – ით გაიზარდა და გადაზიდული კონტეინერების რაოდენობამ 1215 TEU -ს მიაღწია. სარკინიგზო მიმოსვლის გარდა შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა საქართველოს მიერ დაწყებული მოლაპარაკებები უკრაინასთან, რუმინეთთან და ბულგარეთთან რეგულარული საზღვაო მიმოსვლის თაობაზე. შეხვედრაზე ასევე იქნა შეთანხმება მიღწეული იმის თაობაზე, რომ საქართველოსა და ჩინეთის საზღვაო სასწავლებლებს შორის გაცვლითი პროგრამები უფრო გაფართოვდება და ჩინეთი უფრო მეტ სტიპენდიას შესთავაზებს ქართველ სტუდენტებს.

Tskaltubo beldesinin rehabilitasyonunu Bidzina Ivanishvili gerçekleştirecek
წყალტუბოს კურორტის რეაბილიტაციას ბიძინა ივანიშვილი განახორციელებს

Gürcistan'ın eski Başbakanı ve İktidar „Gürcü hayali“ partisi Başkanı Sn. Bidzina Ivanishvili, Tskaltubo - değer kaybeden turist ve tıbbi altyapının tam ölçekli rehabilitasyonunu kendi fonlarıyla yeniden canlandırmayı planlıyor. Facebook sayfasında yaptığı açıklamaya göre, 22 otel tesisi ve 9 balneolojik banyosu dahil, şehirde bulunan tüm mülkleri satın almayı planlıyor.

Bidzina Ivanishvili'nin yol göstermeyi planladığı Tskaltubo gelişim vizyonu ve kavramı, önde gelen İsviçre danışmanlık firması „KohL & Partners“ tarafından geliştirilen bir plana dayanmaktadır. Bu plana göre, Tskaltubo'da ilave olarak çocuk oyun alanları, su parkı, tropikal bahçe, golf ve tenis kortları, kaya tırmanış parkı, alışveriş merkezi, kafe ve restoranlar inşa edilecektir. Bununla beraber, vatandaşları profilli mesleklerde yetiştirmek üzere bir eğitim merkezi açılması da planlanmaktadır. Eski Başbakanın açıkladığına göre, en yakın gelecekte Tskhaltubo'da birkaç bin çalışma alanı yaratılacak, kalifiye personel gerektirecek ve personel için eğitimleri yerinde verilecek. Bidzina İvanishvili'ye göre, Tskaltubo önümüzdeki yıllarda bölgenin sağlık ve turizm başkenti olma potansiyeline sahiptir ve şüphesiz ki, böyle olacaktır.

საქართველოს ყოფილი პრემიერ მინისტრი და მმართველი პარტია ქართული ოცნების თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი წყალტუბოს კურორტის აღორძინებას - ამორტიზებული ტუ-რისტული და სამკურნა-ლო ინფრასტრუქტურის სრულმასშტაბიან რეაბილიტაციას, საკუთარი სახსრებით გეგმავს. საკუთარ ფეისბუქ გვერდზე

გაკეთებული განცხადების თანახმად იგი აპირებს გამოისყიდოს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ყველა ობიექტი, მათ შორის 22 სასტუმრო სანატორიუმი და 9 ბალნეოლოგიური აბანო.

წყალტუბოს განვითარების ხედვა და კონცეფცია, რომლითაც ბიძინა ივანიშვილი აპირებს იხელმძღვანელოს, ეყრდნობა წამყვანი შვეიცარული საკონსულტაციო კომპანიის, „KohL&Partners“ მიერ შემუშავებულ გეგმას, რომლის ფარგლებშიც, წყალტუბოში დამატებით უნდა აშენდეს ბავშვთა მოედნები, წყლის პარკი, ტროპიკული ბაღი, გოლფის და ჩოგბურთის მოედნები, კლდეზე ცოცვის პარკი, სავაჭრო ცენტრი, კაფე-ბარები და რესტორნები. იმავდრო-ულად, დაგეგმილია საგანმანათლებლო ცენტრის გახსნა პროფილურ სპეციალობებში თანამოქალაქეების გადასამზადებლად. ყოფილი პრემიერ მინისტრის განმარტებით რამდენიმე ათას სამუშაო ადგილს, რომელიც წყალტუბოში უახლოეს პერიოდში შეიქმნება, კვალიფიციური კადრები დასჭირდება და მათი მომზადება ადგილზევე იქნება უზრუნველყოფილი. ბიძინა ივანიშვილის განმარტებით წყალტუბოს აქვს ყველა, და შესაძლო მეტი პოტენციალი, უახლოეს წლებში გადაიქცეს რეგიონის ჯანმრთელობის და ტურიზმის დედაქალაქად და ის აუცილებლად გახდება ასეთი.

Gürcistan'ın en yüksek geliri olan 10 Şirketi
საქართველოს 10 ყველაზე მაღალ შემოსავლიანი კომპანია

2018 yılında Gelirlere göre Gürcistan’da faaliyet gösteren ilk 10 şirketin listesi aşağıdaki gibidir:

- LTD „Georgian Manganez“
- JSC „Energo - Pro Georgia“
- LTD „ Sokar Georgia Gaz“
- LTD „Sokar Georgia petroleum”
- JSC „Gürcistan Demiryolları”
- LTD “Aviator”
- LTD “ Betlive”
- LTD “Champions 111”
- LTD “ Mars”
- LTD “ Lider – Bet- Slot”

Verilere göre, 2018 TOP-10 şirketten beşi kumar sektöründe faaliyet göstermektedir. Bu rakam, kumar işin Gürcistan'daki en karlı işlerden biri olduğunu bir kez daha tespit etmektedir ve bu sektorde çalışan şirketlerin cirosu her yıl daha artmaktadır. 2018 yılında, kumar işinin cirosu %128 ile arttı. 2017 yılında bu sektörün cirosu 6,050 milyar lari iken, 2018'de bu rakam 13,806 milyar lari olarak belirlendi.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, 2018 წელს შემოსავლების მიხედვით, საქართველოში მოღვაწე ტოპ 10 კომპანიის სია ასე გამოიყურება:

შპს „ჯორჯიან მანგანეზი“
სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“
სს „საქართველოს რკინიგზა“
შპს „ავიატორ“
შპს „ბეთლაივი“
შპს „ჩემპიონები 111“
შპს „მარსი“
შპს „ლიდერ-ბეთ სლოტი“

როგორც მონაცემებიდან ირკვევა, 2018 წლის TOP-10 კომპანიას შორის ხუთი აზარტული თამაშების საქმიანობით არის დაკავებული. ეს მაჩვენებელი კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ საქართველოში აზარტული თამაშები ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ბიზნესია და მისი ბრუნვა ყოველწლიურად რეკორდულად მატულობს. 2018 წელს სათამაშო (აზარტული) ბიზნესის ბრუნვა 128%-ით გაიზარდა. 2017 წელს სექტორის ბრუნვა 6,050 მლრდ ლარი იყო, 2018 წელს ამ მაჩვენებელმა 13, 806 მლრდ ლარი შეადგინა.

Tiflis Belediyesi yeni 30 otobüsü satın aldı
თბილისის მერიამ დამატებით 30 ახალი ავტობუსი შემოიყვანა

Tiflis Belediye Başkanı Kakha Kaladze, başkentin ulaşım politikasını uygulamaya devam etmektedir. Bu politikaya göre toplu taşıma araçları düzeltilecek, mevcut otobüsleri değiştirilecek ve Tiflis metrosunun rehabilitasyonu yapılacaktır.

Belediye Otobüs Parkı Yenileme Projesi kapsamında, 8 metrelik ISUZU markalı otobüs ve 10 metrelik MAN markalı otobüsler de dahil olmak üzere Tiflis'e 30 yeni otobüs satın alındı. ISUZU markalı sekiz metrelik otobüslerinin Türkiye'de "Anadolu Grubu" tarafından üretildiğini de belirtilmelidir. Aynı zamanda Tiflis Metrosunda ana kablo değiştirilmesi ve mevcut vagonların rehabilitasyonu başlamıştır. Yakın gelecekte, yeni vagonların almak üzere ihale açılması da planlanmaktadır.

თბილისის მერი კახა კალაძე აგრძელებს დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკის რეალიზებას, რაშიც იგულისხმება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგება: არსებული ავტობუსების პარკის ჩანაცვლება და თბილისის მეტროს რეაბილიტაცია.

მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლების პროექტის ფარგლებში, თბილისში ISUZU-ს მარკის 8 მეტრიანი და MAN-ის მარკის 10 მეტრიანი, ჯამურად 30 ავტობუსი შემოვიდა. უნდა აღინიშნოს, რომ ISUZU-ს მარკის რვა მეტრიანი ავტობუსები თურქეთში, ანადოლუს ჯგუფის მიერ არის წარმოებული. აღნიშნულის პარალელურად დაწყებულია თბილისის მეტროს ძალოვანი კაბელის გამოცვლა, არსებული ვაგონების რეაბილიტაცია. უახლოეს მომავალში ასევე იგეგმება ახალი ვაგონების შესყიდვის მიზნით ტენდერის გამოცხადება.

Gürcistan'da oturma izni ile ilgili istatistik verileri
საქართველოში გაცემული ბინადრობის მოწმობების სტატისტიკა

31 Aralık 2018 itibariyle, Gürcistan Hükümeti Göç Komisyonu, Gürcistan'da süresiz ve geçici oturma izni verilmesine ilişkin istatistik bilgileri yayınladı. Yayınlanan verilere göre, Gürcistan'da 20 811 yabancı vatandaşa süresiz oturma izni verildi. Verilen izinlerin ülkelere göre dağılımı şu şekildedir:

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

Rusya	8 889 izni (%44)	Ukrayna	1 718 izni (%8)
Azerbaycan	3 189 izni (%16)	Diğer	3 946 izni (%22)
Ermenistan	2 211 izni (%10)		

Geçici oturma izinleri için, 31 Aralık 2018 tarihi itibariyle 31 356 izin verilmiştir. Verilen iznilerin ülkelere göre dağılımı şu şekildedir: İran - 7 279 izni; Hindistan - 5 951 izni; Rusya - 4 028 izni.

İkamet izni almak için verilen olumsuz kararların son 4 yıl boyunca %3'ten %23'e çıktığı da belirtilmelidir.

2015	889 Red
2016	1 659 Red
2017	4 256 Red
2018	6 598 Red

საქართველოს მიგრაციის სამთავრობო კომისიამ 2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით საქართველოში მუდმივი და დროებითი ბინადრობის მოწმობების გაცემის სტატისტიკა გამოაქვეყნა. გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში მუდმივი ბინადრობის მოწმობა 20 811 უცხოეთის მოქალაქეს აქვს მინიჭებული. გაცემული მოწმობების განაწილება ქვეყნების მიხედვით კი ასე გამოიყურება:

რუსეთი	8 889 მოწმობა (44 %)	უკრაინა	1 718 მოწმობა (8 %)
აზერბაიჯანი	3 189 მოწმობა (16 %)	სხვა	3 946 მოწმობა (22 %)
სომხეთი	2 211 მოწმობა (10 %)		

რაც შეეხება დროებითი ბინადრობის მოწმობებს 2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით გაცემულია 31 356 მოწმობა. გაცემული მოწმობების განაწილება ქვეყნების მიხედვით კი ასე გამოიყურება: ირანი - 7 279 მოწმობა; ინდოეთი - 5 951 მოწმობა; რუსეთი - 4 028 მოწმობა.

აღნიშნულთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში ბინადრობის ნებართვის მიღებაზე უარყოფითი გადაწყვეტილებების რაოდენობა 3 დან 23%-მდეა გაზრდილი.

2015	889 უარი
2016	1 659 უარი
2017	4 256 უარი
2018	6 598 უარი

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (08.11.2019)

USD/GEL – 2.9586 TRY/GEL – 0.5147 EUR/GEL – 3.2808 GBP/GEL – 3.8071

USD/GEL

01 – 08 Kasım 2019

USD/TRY

01 – 08 Kasım 2019

TRY/GEL

01 – 08 Kasım 2019

Uluslararası Reyting საერთაშორისო რეიტინგი	
İş Yapma Kolaylığı ბიზნესის კეთების სიმარტივე	№ 6
İş Başlama Kolaylığı ბიზნესის დაწყების სიმარტივე	№ 2
Kredi Alma Kolaylığı სესხის აღების სიმარტივე	№ 12
Küçük Yatırımcıların Koruması მცირე ინვესტორთა დაცულობა	№ 2
İnşaat İzinleri İle Mücadele სამშენებლო ნებართვის სიმარტივე	№ 27
Ekonomik Özgürlük Endeksi ეკონომიკური თავისუფლების ინდ.	№ 16
Rekabet Edebilirlik Endeksi კონკურენტუნარიანობის ინდექსი	№ 74